



საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

ანგარიში

2019 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში (შემდგომში - სამსახური) შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 2 (ორი) მოთხოვნა, რომელთა შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 30 ივლისის №170 ბრძანებით დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის დავით კარანაძის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესახებ. შესაბამისად, არცერთი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში არ მიღებულა. ამასთან, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა.

სამსახურში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა აღნიშნულ პროგრამაში ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სამსახურში პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება სამსახურის საკადრო უზრუნველყოფის (მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) ფუნქციონირების), საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) ფუნქციონირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის, აგრეთვე, საკუთრებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.

სამსახურში დასაქმებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს აღვილი არ ჰქონია.

სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. ამასთან, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში გადაწყვეტილება არ მიღებულა და შესაბამისად, არ გასაჩივრებულა, სამსახურს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.